საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№03/3450-16 "19" 09 2016 წ

შპს „ჯეონეტს"

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2016 წლის 23 სექტემბერს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება შპს „ჯეონეტისათვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ავტორიზაციის შეჩერების საკითხი, მის მიერ სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შეუვსებლობითა და რეგულირების საფასურის გაანგარიშებების კომისიაში წარმოუდგენლობით, კომისიის 2011 წლის 25 მარტის N144/22 და 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილებების, ასევე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის 08.08.16 N8-10/8109-16 სამსახურებრივი ბარათი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2016 წლის 5 სექტემბერი. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „ჯეონეტს" უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი - 3 გვ;
2. საფინანსო დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი - 1 გვ.

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ბ-ნ გ. ~~კვერენჩხილაძეს~~

გთხოვთ განიხილოთ და საკითხი მოამზადოთ
კომისიის სხდომაზე განსახილველად

ვ. აბაშიძე
08.08.2016წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული

კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

კომისიის აპარატის ინფორმაციულ-
ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის

რატი სხირტლაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ვახტანგ,

მოგახსენებთ, რომ ავტორიზირებული პირი "ჯეონეტს" ავტორიზაციის გავლის დღიდან არ წარმოუდგენია სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები. ამასთან, მიუხედავად წერილობითი გაფრთხილებისა, კომპანიამ არ განახორციელა შესაბამისი ქმედებები. ამასთან, აღნიშნული კომპანია ოპერატორების მიერ არ არის მოხსენიებული კონტრაჰენტ ოპერატორად.

კომპანიის მიმართ სათანადო ღონისძიებების გატარების მიზნით, დანართის სახით გიგზავნით აღნიშნულ ავტორიზირებულ პირზე შემდეგ ინფორმაციას:

1. დანართი 1 - გაფრთხილების წერილის ასლს;
2. დანართი 2 - გაფრთხილების წერილის ჩაბარების დოკუმენტაციას.

პატივისცემით,

რატი სხირტლაძე

მოამზადა თ. მარღანიამ

J.10/8109-16
08.08.16
1+2

0

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

+

№ 05/1759-16

"09" 06 2016 წ.

შპს "ჯეონეტს"

როგორც თქვენთვის ცნობილია, "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 25 ივლისის N421/19 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 25 მარტის N144/22 გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის და "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ/ლიცენზიის მფლობელ ყველა პირს და ასევე ყველა მაუწყებელს დაევალათ გადაწყვეტილების დანართი N1-ით განსაზღვრული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების მეშვეობა და კომისიაში წარმოდგენა ამავე გადაწყვეტილებით დადგენილი პერიოდულობით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თქვენ არ წარმოგიდგენიათ 2015 წლის თებერვლიდან 2016 წლის აპრილის ჩათვლით სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია სრულად და მოთხოვნილ ვადაში მიაწოდოს კომისიას ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ. ამავე პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის კომისიის გადაწყვეტილებები.

გთხოვთ, 10 სამუშაო დღის ვადაში შეავსოთ მითითებული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები.

ამავე დროს, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირის მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად.

შეგახსენებთ, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის კომისიის დადგენილებით და გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევა წარმოადგენს სანქციების საფუძველს.

დამატებით გაცნობებთ, რომ ინფორმაციის დაზუსტების და კონსულტაციის გაწევის მიზნით, საკონტაქტო პირად განსაზღვრულია კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი თამარ მარღანია (ტელ: (032) 231 14 12, ელ- ფოსტა: tmarghania@gncc.ge).

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე

გზავნილის სახეობა:	წერილობითი კორესპონდენცია
გაგზავნის თარიღი:	12.07.2016 10:38
გზავნილის კოდი:	AP01001145619
გამგზავნი:	"საქ. კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (204953050)
გამგზავნის გზავნილის ნომერი:	05/1759-16
გამგზავნის მისამართი:	წამებულის გამზ./ზოჭორმის ქ.50/18, თბილისი, საქართველო
ადრესატი:	შპს"ჯეონეტი"
ადრესატის მისამართი:	მეგობრობის გამ. 10დ ან მე-7 მ/რ, კორპ-12, ბ-21, რუსთავი (ქალაქი), საქართველო
შემსრულებელი:	მაია წინუა
სტატუსი:	გატანილი
კურიერის ვიზიტის თარიღი:	14.07.2016 14:41
კურიერი:	ლელა ნოზაძე
ჩაიბარა:	ნიკა კოჭაური 35001061260 (ორგანიზაციის წარმომადგენელი)
კომენტარი:	დირექტორი

ხელმოწერა:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი კვერენჩხილაძეს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
აპარატის საფინანსო დეპარტამენტის უფროსის
მ/შ ნათია დევდარიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

თქვენი მ/წლის 12 სექტემბრის №შ-10/9550-16 სამსახურებრივ ბარათთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შპს „ჯეონეტს" (ს/კ - 416316917 და ავტორიზაციის გავლის თარიღი - 13/02/15წ.) კომისიაში 2015 წლის მარტის თვის შემდეგ არ წარმოუდგენია რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებები (2015 წლის თებერვალი და მარტი წარმოადგინა ნულოვანი) და გაანგარიშებების წარმოუდგენლობის გამო რეგულირების საფასურის დავალიანება ვერ დგინდება.

კომისიაში წარმოდგენილი რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებების შესაბამისად, შპს „ჯეონეტის" დავალიანება კომისიის წინაშე შეადგენს ნულს.

პატივისცემით,

ნ. დევდარიანი

ნათია დევდარიანი

ულ/9579-16
12 09 16